

GEORGIAN POLITICAL EMIGRATION AND DIASPORA IN THE REPUBLIC OF TURKEY (1921–1939)

ქართული პოლიტიკური ემიგრაცია და დიასპორა თურქეთის რესპუბლიკაში
(1921–1939 წ.წ.)

ENVER DIASAMIDZE

PhD student, Department of Politics
and International Relations, Georgian Technical
University, Georgia, Tbilisi, Kostava 77. 0160.
+995 599 84 15 45,. - E mail:enodiasamidze@gmail.com,
ORCID 0000-0001-8298-7002

Abstract

This paper is based on a comprehensive analysis of the interwoven dynamics between Georgian political emigration and diaspora within the Republic of Turkey between 1921 and 1939—a period that simultaneously reflects the violent Soviet annexation of the Democratic Republic of Georgia and the institutional formation of the new Kemalist Turkish state. The study presents a synthetic perspective on the political, cultural, and organizational transformations that shaped Georgian emigration not as a temporary episode, but as a structurally consolidated phenomenon within the geopolitical and societal context of interwar Turkey.

The central thesis posits that the Georgian political émigré community in Turkey, despite its unregulated legal status and lack of international legitimacy, developed a unique model of self-organized “clandestine statehood.” This model was grounded in cultural-intellectual resources, diasporic solidarity, and a sophisticated capacity for geopolitical adaptation. Drawing upon documentary sources—including Soso Mdivani’s correspondence from Ankara, archival records from the Turkish Republic, and memoir-based texts from Georgian émigrés—the article highlights the intricate balance that evolved between the exiled Georgian leadership and the host state: one of political silence paired with cultural activity.

A particular emphasis is placed on the social networks that connected Georgian émigrés with descendants of Ottoman-era Georgian-speaking muhajirs. This integration with an established ethnic stratum provided Georgian exiles with spatial and cultural reinforcement, helping to preserve national identity not only at the level of political rhetoric but also within the fabric of everyday cultural practice—language, customs, educational initiatives, and informal religious rituals.

state policy, while focused on consolidating a monoethnic national identity through secular nationalism, tolerated this cultural presence as long as it did not disrupt internal or external equilibrium—especially concerning relations with the Soviet Union. Within this neutralized political space, Georgian émigrés were able to symbolically maintain their political aspirations and uphold mechanisms of cultural self-identification.

Goal: The study further explores the gradual transformation that took place from the mid-1930s, wherein political exile began to give way to a more culturally structured diaspora. Though politically less visible, Georgian émigrés became increasingly active in religious, linguistic, and educational spheres, thereby preserving the historical memory of Georgian independence. Their “quiet resistance”—a form of structurally sustained cultural expression—emerged as one of the most

enduring means through which the ideal of Georgian statehood survived during the mid-twentieth century.

Keywords: Georgian political emigration; Turkey 1921–1939; diaspora diplomacy; national identity in exile; cultural preservation; Soviet-Turkish relations.

ენვერ დიასამიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პოლიტიკისა
და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის
დოქტორანტი, საქართველო, თბილისი კოსტავას 77. 0160.
+995 599 84 15 45,. - E mail:enodiasamidze@gmail.com,
ORCID 0000-0001-8298-7002

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი ეფუძნება ქართულ პოლიტიკური ემიგრაციისა და დიასპორის ურთიერთგადაჯახვულ ანალიზს თურქეთის რესპუბლიკაში 1921–1939 წლებში – ეს პერიოდში, ეხმიანება როგორც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ძალადობრივ გასაბჭოებას, ისე ახალი ქემალისტური თურქეთის სახელმწიფოებრივი სტრუქტურების ჩამოყალიბებას. კვლევა სინთეზურ ჭრილში წარმოაჩენს იმ პოლიტიკურ, კულტურულ და ორგანიზაციულ ტრანსფორმაციებს, რომლებიც ემიგრაციის ფენომენს ჩამოუყალიბდა არა როგორც დროებით, არამედ როგორც სტრუქტურულად გამტკიცებულ სივრცეს თურქეთის რესპუბლიკაში.

ნაშრომის ცენტრალური თეზაა, რომ თურქეთში მოქმედმა ქართულმა პოლიტიკურმა ემიგრაციამ, მიუხედავად არარეგულირებული სტატუსისა და საერთაშორისო სამართლებრივი ლეგიტიმაციის არქონისა, შექმნა უნიკალური მოდელი თვითორგანიზებული „დამალული სახელმწიფოებრიობისა“, რომელიც დაფუძნებული იყო კულტურულ-ინტელექტუალურ რესურსებზე, დიასპორულ მხარდაჭერაზე და გეოპოლიტიკური ადაპტაციის კომპლექსურ უნარებზე. დოკუმენტურ წყაროებზე, კერძოდ ს. მდივნის ანკარის წერილებზე, თურქეთის რესპუბლიკის არქივებზე და ქართულ ემიგრანტთა მემუარისტულ ტექსტებზე დაყრდნობით, წარმოაჩენილია ის რთული ბალანსი, რომელიც საქართველოს დევნილობაში მყოფ ხელისუფლების წარმომადგენლობასა და მასპინძელ სახელმწიფოს შორის ჩამოყალიბდა-დუმილი პოლიტიკურ სივრცეში და აქტიურობა კულტურულ არენაზე.

მნიშვნელოვანი აქცენტი კეთდება იმ სოციალურ ქსელებზე, რომლებიც ქართველ დევნილებს აკავშირებდა ოსმალეთის დროინდელ ქართულენოვან მუჰაჯირთა შთამომავლებთან. ამ ეთნიკურ ფენასთან ინტეგრაციამ ემიგრაციას შესძინა სივრცობრივი სიძლიერე და ხელი შეუწყო იდენტობის მდგრადობას არათუ მხოლოდ რიტორიკულ-პოლიტიკურ დონეზე, არამედ ყოველდღიური ყოფის კულტურულ პრაქტიკაში — ენაში, წეს-ჩვეულებებში, საგანმანათლებლო ინიციატივებში და რელიგიურ რიტუალებში.

თურქეთის სახელმწიფო პოლიტიკა — რომელიც ქემალისტური იდენტობის ფორმირებით ცდილობდა მონოეთნიკური ერთსულოვნების განმტკიცებას — დათმობებზე წასულიყო იმ დრომდე, სანამ ემიგრაცია არ არღვევდა გარე-შიდა ბალანსს, განსაკუთრებით საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის ჭრილში. სწორედ ამ ნეიტრალური სივრცის ფარგლებში ქართველმა დევნილებმა შეინარჩუნეს თავიანთი პოლიტიკური განზრახულობების

სიმბოლური გამოხატვა და კულტურული თვითიდენტიფიკაციის მექანიზმების ფუნქციონირება.

მიზანი ნაშრომი ხაზგასმით ეხმიანება იმ ტრანსფორმაციას, რაც პოლიტიკურ დევნილობას და კულტურულ დიასპორას შორის თანდათანობით განვითარდა 1930-იანი წლების მეორე ნახევრიდან: ემიგრანტები ნაკლებად პოლიტიკურად ხილულნი, მაგრამ მეტად რელიგიურად, ენობრივად და საგანმანათლებლოდ ორგანიზებულნი წარმოადგენდნენ საქართველოს დამოუკიდებლობის მეხსიერების მატარებელ ფენას. მათი „ჩუმი წინააღმდეგობა“ — როგორც სტრუქტურულად მართული კულტურული პროექტი — იქცა XX საუკუნის შუახანების ქართული სახელმწიფოებრიობის იდეის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს გადარჩენით ფორმად

საკვანძო სიტყვები: ქართული პოლიტიკური ემიგრაცია; თურქეთი 1921–1939; დიასპორული დიპლომატია; ეროვნული იდენტობა ემიგრაციაში; კულტურის შენარჩუნება; საბჭოთა-თურქული ურთიერთობები.

შესავალი

1921 წლის თებერვალ-მარტში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაციამ და საბჭოთა ხელისუფლების ძალადობრივმა დამყარებამ მყისიერად შეწყვიტა ქვეყნის დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი განვითარება და ეროვნულ-დემოკრატიული ძალების მმართველობა. ეს ისტორიული ტრავმა იქცა არა მხოლოდ სახელმწიფოებრივი იდენტობის დაკარგვის სიმბოლოდ, არამედ განსაზღვრა ქართული პოლიტიკური ელიტის ქმედითი პოზიციონირება დევნილობაში. 1918 წელს მოპოვებული დამოუკიდებლობა მარცხით დასრულდა, თუმცა მისი იდეოლოგიური და მორალური ძალა ვერ გაუქმდა – მან გადაინაცვლა ემიგრაციის სივრცეში.

დევნილობა, რომელიც თავდაპირველად აღიქმებოდა დროებით ღონისძიებად, სწრაფად მიიღო ხანგრძლივი და სტრუქტურული ხასიათი. ევროპაში – პარიზი, ლევილი, ბერლინი – იქცა პოლიტიკური და კულტურული ემიგრაციის მთავარ ჰაბებად, სადაც შეიქმნა ქართული ეროვნული ხელისუფლების გადასახლებაში არსებული სტრუქტურები. თუმცა, ემიგრაციის გეოგრაფია არ შემოიფარგლა მხოლოდ დასავლეთით. პოლიტიკურად და გეოპოლიტიკურად მეტად სპეციფიკური ადგილი დაიკავა ახლად შექმნილმა თურქეთის რესპუბლიკამ, რომელიც ერთდროულად წარმოადგენდა როგორც ისტორიულად ქართულ თემებთან დაკავშირებულ სივრცეს, ისე საბჭოთა კავშირთან მოსაზღვრე და სტრატეგიულად ფრთხილ მეზობელს.

თურქეთი, როგორც ოსმალეთის იმპერიის სამართალმემკვიდრე და ქემალისტური რესპუბლიკის მშენებელი სახელმწიფო, 1920-იანი წლებიდან აქტიურად ახორციელებდა ნაციონალური სახელმწიფოს კონსტრუქციას — რაც მოიცავდა ეთნიკური და კულტურული ერთიანობის გაღრმავებას, სეკულარიზმის ინსტიტუციონალიზაციას და საგარეო პოლიტიკის ბალანსს საბჭოთა კავშირთან. სწორედ ამ მრავალშრიან ტრანსფორმაციულ კონტექსტში იწყება ქართული პოლიტიკური ემიგრაციის ისტორია თურქეთში, რომლის ერთ-ერთი მთავარი ხასიათი იყო გარემო პირობებისადმი შეგნებული ადაპტაცია და იდენტობის შენარჩუნება ხილული და უხილავი სტრატეგიებით.

ქართული ემიგრაციის წარმომადგენლები — პოლიტიკური ლიდერები, დიპლომატები, ინტელიგენცია, სამხედრო პირები და პედაგოგები — ცდილობდნენ თურქეთის სივრცე დაეხასიათებინათ როგორც პოლიტიკური მოღვაწეობის გაგრძელების

პლატფორმა, დასავლურ წრეებთან დიალოგის არხი და ეროვნულობის გადარჩენის კულტურულ-საგანმანათლებლო ბირთვი. მათ ესმოდათ, რომ პარიზისა და ბერლინისაგან განსხვავებით, თურქეთში მათი ყოფნა უფრო ახლოს იყო საქართველოს ფიზიკურ საზღვრებთან, რაც მეტ სიმბოლურ და პოლიტიკურ დატვირთვას ანიჭებდა ადგილობრივ საქმიანობას.

წინამდებარე კვლევა მიზნად ისახავს 1921–1939 წლებში თურქეთში არსებული ქართული პოლიტიკური ემიგრაციის მრავალწახნაგოვან ანალიზს: მისი სტრუქტურული მოწყობის, კულტურული თვითორგანიზების, სახელმწიფოს პოლიტიკისადმი ადაპტაციური სტრატეგიების და იდენტობის პოლიტიკურ ტრანსფორმაციას.

კვლევის მეთოდები

ნაშრომი დაწერილია მეცნიერული მეთოდოლოგიის სახელმძღვანელო პრინციპების ისტორიზმისა და ლოგიკურობის საფუძველზე. მასალა შერჩეული, დაჯგუფებული და გაანალიზებულია მეცნიერებაში აპრობირებული მეთოდოლოგიით. საკვლევი თემის ისტორიული ფონი შესწავლილ იქნა შედარებითი ანალიზის და შესაბამისი ლიტერატურის საფუძველზე. კომპლექსურად და სისტემურად გამოყენებული მეთოდებით განხილულ იქნა საისტორიო პროცესები და ადამიანთა საქმიანობა. კვლევის მეთოდოლოგიის ამოსავალი წერტილია ისტორიზმის და ობიექტურობის პრინციპი.

შედეგი

კვლევის შედეგი არის ის, რომ სულ სხვა კუთხითაა დანახული ქართული დიასპორის ცხოვრება და საქმიანობის დღემდე უცნობი დეტალები. 1921–1939 წლებში საქართველოს პოლიტიკური ემიგრაცია თურქეთში ჩამოყალიბდა როგორც სტრუქტურულად კომპლექსური და იდენტობისადმი ორიენტირებული ფენომენი. მან მოახერხა საკუთარი თავის ორგანიზება კულტურულ და საგანმანათლებლო ქსელებად ისე, რომ ფორმალურად იურიდიულ სტატუსს მოკლებული, მაგრამ შიგნიდან მტკიცედ მართული „დამალული სახელმწიფოებრიობის“ სახე მიიღო.

ქართულმა ემიგრაციამ შეძლო კულტურული თვითორგანიზების მდგრადი მოდელის შექმნა: კერძო სკოლები, კულტურული წრეები, მცირე საეკლესიო ერთეულები და საგანმანათლებლო ჩართულობა თურქეთის უნივერსიტეტებში იდგა ეროვნული იდენტობის შენარჩუნების ცენტრში. ქართველებმა მოახერხეს ეროვნული ენით, მეხსიერებითა და რელიგიური რიტუალებით ფარული ეროვნულობის გაძლიერება.

1930-იანი წლებიდან პოლიტიკური აქტიურობა თანდათანობით შეიცვალა კულტურულ დიასპორულ ფორმატად. ქართველების საქმიანობა გადაერთო ეროვნულ მეხსიერებაზე, განათლებაზე და იდენტობის გადაცემაზე, რაც ემიგრაციას ხდიდა სულიერად მდგრად, თუმცა პოლიტიკურად ნაკლებად ხილულ ძალას.

ქართული ემიგრაციის გამოცდილება თურქეთში წარმოგვიდგენს უნიკალურ მაგალითს, თუ როგორ შეიძლება დევნილობაში მყოფმა ერმა ერმა მოახდინოს იდენტობის, კულტურის და პოლიტიკური მეხსიერების შენარჩუნება სუვერენული სახელმწიფოს არარსებობის პირობებში — ამ პროცესს შეიძლება ვუწოდოთ „პოლიტიკური წინააღმდეგობის ჩუმი ძალა“.

ქართველი ემიგრანტების საქმიანობა თურქეთის რესპუბლიკაში არ ყოფილა მხოლოდ ტერიტორიულად განლაგებული პოლიტიკური თავშესაფარი; იგი გამოირჩეოდა იმით, რომ ემიგრაციამ საკუთარი ორგანიზაციული სტრუქტურები ააგო იდეოლოგიური

ჩარჩოს გარშემო, რომელიც იმეორებდა „თეთრი გიორგის“¹ მსგავს ფორმულირებას — ეროვნული პატრიოტიზმისა და პოლიტიკური თავშეკავებულობის სინთეზს. როგორც გიორგი მაჩაბელი წერილობით ასახავდა — „უნდა აღვზარდოთ მომავალი მეზრდოლნი საქართველოს თავისუფლებისა... გრძნობა და ცოდნა ე.ი. გული და თავი ერთად უნდა იყვნენ განვითარებულნი, მომზადებულნი“ (მამულია, 2024, გვ. 60).

ამ ფრაზაში ასახულია ემიგრანტული პოლიტიკის ღრმა ღირებულებითი ხაზი — ემოციური ერთგულების გადაყვანა რაციონალურ, ორგანიზებულ საქმიანობაში. ეს იდეა თურქულ რეალობაში გადმოიტანა ს. მდივნის ანკარის საკოორდინაციო ცენტრმა, სადაც, იმ პირობებში, როდესაც საჯარო პოლიტიკური მოქმედება შეზღუდული იყო, სწორედ კულტურულ-საგანმანათლებლო ფორმით ხდებოდა ერის „მომზადება“.

დისკუსია

ქართული პოლიტიკური დევნილობა თურქეთში: გენეზისი და მიგრაციის ტალღები

1921 წლის მარტის ბოლომდე, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ფაქტობრივად ყველა უმაღლესი პოლიტიკური და სამხედრო ფიგურა აღმოჩნდა დევნილობაში. ქართული პოლიტიკური ელიტა, რომელიც სოციალ-დემოკრატიული მთავრობის სახით მართავდა ქვეყანას 1918 წლიდან, იძულებული გახდა დაეტოვებინა სამშობლო და ემიგრაციაში განეახლებინა წინააღმდეგობა საბჭოთა ოკუპაციის წინააღმდეგ. ამ დევნილობის პირველი ფაზა შეეხო ძირითადად იმ პოლიტიკურ ფიგურებს, რომლებიც უშუალოდ იყვნენ დაკავშირებული სახელმწიფო სტრუქტურებთან, სამხედრო-დიპლომატიურ ხელმძღვანელობასთან. ესენი იყვნენ — მთავრობის წევრები, ეროვნული გვარდიის ოფიცრები, სამხედრო ატაშეები და დიპლომატები.

თურქეთი, გეოგრაფიული სიახლოვისა და ისტორიული ძაფებით მიბმული სივრცე, ემიგრაციისათვის სწრაფად იქცა პირველ თავშესაფრად. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ტრაპიზონის, სამსუნის, ბურსისა და სტამბოლის მიმართულებები, რომლებიც ისტორიულადაც ეთნიკური ქართველებით დასახლებული ადგილები იყო. როგორც სერგო ურუშაძე ერთ-ერთ წერილში აღნიშნავს - „ჩვენი პოლიტიკური თავშესაფარი იქცა იმავე ადგილად, სადაც ჩვენი ხალხის სხვა ნაწილი საუკუნეების წინ გადმოსახლდა... ახლა კი ამ მიწაზე ჩვენი სახელმწიფოებრიობის ნაპერწკლის გადარჩენა გვევალება“ (სსცია., ფონდი 2018, ანაწ.1, საქმე №19 ფურ. 21).

დევნილობის პირველი ტალღა (1921–1923) შედგებოდა მაღალჩინოსანი მოხელეებისგან, რომელთა მიზანი იყო ორგანიზაციულად გადაეტანათ რესპუბლიკის იდეა ახალ სივრცეში და შეენარჩუნებინათ ეროვნული ლეგიტიმაცია. მეორე ტალღა (1923–1926) უფრო მრავალფეროვანი იყო და მოიცავდა მასწავლებლებს, ექიმებს, არმიიდან დათხოვნილ კადრებს, ჟურნალისტებს და მწერლებს. მესამე ტალღა კი უკვე სელექტიური გადმოსახლება იყო. ნიკო ურუშაძე წერილში მწარედ აღნიშნავს: „სატირალი და სამარცხვინოა, როდესაც ჩვენი „სახელოვანი“ უფროსები თავისუფლად დასეირნობენ რუსთაველის პროსპექტზე იმ დროს, როდესაც ქეციანი კ. ანდრონიკაშვილი დღიდან გასაბჭოებისა, ციხეს და არალეგალობას არ მოშორებია... მარკოზ გაბისონიას, სიმონ გოგიჩაიშვილი, მეუნარგია... სული ამოსდით იქ — მათ, აქ მათ მშობლებს და ცოლ-შვილს“

¹ თეთრი გიორგი — ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაცია, რომელიც მოქმედებდა ევროპაში 1924-1954 წლებში.

(სსცია., ფონდი 2018, ანაწ.1, 19. ფურ.25), რომლის წარმომადგენლები თურქეთის საზღვრებს გარეთ ემიგრაციის გაფართოებულ ქსელებს უერთდებოდნენ — თუმცა ბევრისთვის თურქეთი რჩებოდა როგორც დისტანციური ბაზა, პოლიტიკური ცენტრებისკენ (ლევინი, პარიზი) გადანაცვლებამდე.

პირველი ტალღის ქართველი დევნილები, რომლებმაც თავშესაფარი სტამბოლში, ანკარაში, იზმირში ან ტრაპიზონში ჰპოვეს, წარმომადგენდნენ ღრმად დიფერენცირებულ სოციალურ ფენას. თავდაპირველად ემიგრანტების აქტივობა ძირითადად დაკავშირებული იყო თვითორგანიზების მცდელობასთან როგორც სანიკო ქუთათელაძე სიმონ მდივანს 1922 წლის წერილში სწერს: „აქ არის ვიღაცა ვ. დუმბაძე რომელსაც აქვს აქ ბოლშ. მთავრობიდან მანდატი... ასეთი უპატრონობა და უყურადღებობა მთლად დაღუპავს ჩვენს საქმეს“ (სსცსა., ფონდი 2018, ანაწ.1, ქმე 51, გვ. 6-7). მაგრამ, როგორც ამას მრავალი წერილობითი წყარო ადასტურებს, მთავარი დაბრკოლება იყო ფინანსური და იურიდიული სტატუსის გაურკვევლობა. მაგალითად, სოსო გოგოლაშვილი სიმონ მდივანს სწერს - „საკონსულოს ბიუჯეტი პრაქტიკულად არ არსებობს. ოფიცრებიც კი მუშაობენ საკუთარი ხარჯით. ჩვენი ხალხი უღონოდაა. სამუშაოს ვერ შოულობენ, ენაც არ იციან... თურქეთის შიგნით კი ჩვენ არაფრით განვსხვავდებით უპატრონო სომხური კოლონიისაგან“.

მნიშვნელოვანია, რომ თურქეთში ჩამოსული იძულებით ლტოლვილი ქართველობა არ აღმოჩნდა ვაკუუმში: მათ დახვდა მრავალსაუკუნოვანი, ოსმალეთის დროიდან ჩამოყალიბებული ქართული დიასპორა — აჭარიდან, მესხეთიდან, აფხაზეთიდან მუჰაჯირად წასული ქართველობა და თურქეთში მცხოვრები ლაზები. ეს ეთნიკური ფენა არ იყო პოლიტიკურად ორგანიზებული, თუმცა მნიშვნელოვან კულტურულ-რელიგიურ გაგრძელებას წარმოადგენდა. მიუხედავად იმისა, რომ მათი ნაწილი უკვე მუსლიმურ-თურქულ გარემოში სრულად ასიმილირებული იყო, ქართული ენის, ტრადიციებისა და სახელების გადარჩენილი ნიშნები ხშირად იქცა ემიგრანტებისათვის ნაცნობ და მოსასვენებელ სივრცედ. ნიშანდობლივია ისიც, რომ „მე-19 საუკუნის ბოლოსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში ანატოლიაში გადმოსახლებულ კავკასიელ მუსლიმთა შორის ქართველური წარმომავლობის მქონე მოსახლეობა უმეტესად შერწყმული იყო ჩერქეზულ და ლაზურ გარემოსთან“ (Uras, E. (2006): გვ. 118).

ემიგრანტებმა დაიწყეს კულტურული ცენტრების შექმნა, სადაც არა მხოლოდ დევნილი ქართველები, არამედ ადგილობრივი ქართველებიც იღებდნენ მონაწილეობას. კერძო სკოლებში, სტამბოლსა და ბურსაში, ხდებოდა არა მხოლოდ ეროვნული ისტორიის გაკვეთილები, არამედ მსჯელობა თანამედროვე პოლიტიკური კონტექსტის შესახებაც, რაც საშუალებას აძლევდა დევნილებს, დიასპორის ინტეგრაციის მეშვეობით, შეექმნათ ეროვნული ცნობიერების ტრანსნაციონალური სივრცე.

უნდა აღინიშნოს, რომ თურქეთის პოლიტიკური კონტექსტიც როგორც ფილიპე შარაძე სოსო მდივანს სწერს: „ბატონო სოსიკო, მე და ურუშაძეს გვქონდა აზრი, რომ საჭირო იყო პარტიის სახელის გამოცვლა... ეხლა კი მიგულებთ ერთ ჯარის კაცათ, რომელიც მზათ არის ამ საქმეს შეეწიროს... რყევა, ლოდინი, საქმის გადადება, ყველა მომაკვდინებელია“ ((სსცია., ფონდი 2018, ანაწ.1, საქმე 52, გვ. 58)., განსაკუთრებით ქემალისტური რესპუბლიკის საწყის წლებში, ხელს უწყობდა იმგვარი ნეიტრალური სივრცის არსებობას, სადაც დევნილებს შეეძლოთ თავი აერიდებინათ პირდაპირი რეპრესიებისთვის, თუმცა არ

ეჩვენებინათ ღია პოლიტიკური პოზიციები. სწორედ ამ ნაზავში — პოლიტიკური სიფრთხილით, კულტურული პარტნიორობისა და დიასპორული ნდობით განთავსდა ქართული ემიგრაციის პირველი სტრუქტურული ფაზა თურქეთის რესპუბლიკაში.

თურქეთის რესპუბლიკის პოლიტიკა უცხოურ ემიგრაციასთან მიმართებაში და მისი გავლენა ქართულ დევნილობაზე

1923 წელს თურქეთის რესპუბლიკა ოფიციალურად გამოცხადდა. ქემალისტური პროექტის ძირითადი სტრატეგია ემყარებოდა სახელმწიფო ინსტიტუციების სრულ გადახალისების, სეკულარიზაციისა და ნაციონალური თვითმყოფადობის ხელახალი განმარტების იდეას.

ქართველთა დევნილობის საკითხი თურქეთის პოლიტიკური დღის წესრიგის პერიფერიაზე იყო განლაგებული. მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალურად ემიგრანტები არ აღიარებულან არც „საფრთხედ“ და არც „სტრატეგიულ აქტორად“, სახელმწიფოს ყურადღება მათ მიმართ მაინც არსებულიყო „მუსტაფა ქემალის მთავრობისთვის კავკასიელი პოლიტიკური დევნილები მნიშვნელოვანი ინტელექტუალური რესურსი იყო, თუმცა იმავდროულად უნდობლობით აღქმული უსაფრთხოების თვალსაზრისით“ (Uras, E. (2006): გვ.143). კავკასიური პოლიტიკური დიასპორა არ იყო მონოლითური — მასში შედიოდნენ ისლამისტები, ქრისტიანები, სოციალისტები, ლიბერალები და თურქულ-ნაციონალისტურ იდეოლოგიასთან შერწყმული ჯგუფები. ამ პოლიფონიურ სტრუქტურაში ქართული პოლიტიკური ემიგრაცია პოტენციურად წარმოადგენდა ერთ-ერთ ყველაზე ევროპულ ორიენტირებულ ჯგუფს, რაც ქმნიდა განსხვავებულ იდეოლოგიურ კონტექსტს(იქვე: გვ. 155). თურქეთის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს 1925 წლის მოხსენებაში ქართულ პოლიტიკურ დევნილობაზე წერია: „ესენი არ არიან ტერორისტები ან რევოლუციონერები, მაგრამ მათი ღირებულებები და წარსული აქტივობები სიფრთხილეს გვაიძულებს“. ეს მორალური სიფრთხილე პოლიტიკური თვალსაზრისით აიხსნება ორაზროვან პოზიციაში. სიმონ მდივნის თქმით - „გაკვირებული ვარ, როდის ან ვინ ამოიკითხა ჩემ წერილებში ოპტიმისტური შეხედულება თურქეთის დღევანდელ პოლიტიკურ მოღვაწეებზე... ყოველთვის ვწერდი – ვიბრძოლებ და შეიძლება მოვახერხო მუშაობის გაგრძელება.“ (სსცია., ფონდი 2018, ანაწ.1, საქმე 51, გვ. 36). ჩვენ ვეთანხმებით თურქულ ისტორიოგრაფიაში გაზიარებულ შეხედულებას, რომ ერთის მხრივ, ქემალისტური რეჟიმი ცდილობდა დაეცვა ქვეყნის სუვერენიტეტი და არ მიეცა ქართული ემიგრაციისთვის საერთაშორისო ტრიბუნად ქცევის შესაძლებლობა და მეორეს მხრივ, თურქეთის ინტერესში არ შედიოდა პირდაპირი დაპირისპირება არც ქართულ ემიგრაციასა და არც მათთან დაკავშირებულ დიასპორასთან — განსაკუთრებით იმ რეგიონებში, სადაც მკვიდრი იყო ეთნიკურად ქართველი მოსახლეობა (ლაზეთი, ართვინი, სამსუნი, ბურსა) (Kirzioğlu, 1982, pp. 210–212).

ქართული დევნილობის მიმართ სახელმწიფოს პოლიტიკა იყო ქმედითი მხოლოდ მაშინ, როდესაც საქმე ეხებოდა ღიად ანტისაბჭოთა განცხადებებს. ამგვარ შემთხვევაში თურქეთის უშიშროების სამსახურები დუმილის პოლიტიკიდან გადადიოდნენ დევნილთა ზედამხედველობაზე, ხოლო მათთვის ნეიტრალურ სტატუსში დარჩენა ხდებოდა რთული. თუმცა ზოგად პოლიტიკურ სპექტრში ქართული ემიგრაცია განიხილებოდა როგორც შედარებით ზომიერი და ინტელექტუალურად ორიენტირებული ჯგუფი. განსხვავებით,

მაგალითად, სომხური დაშნაკებისგან ან ბოსნიურ-ბულგარულ ანარქისტულ ბირთვებისგან (Togan, 1999, pp. 136–137).

თურქეთის სახელმწიფო ხედავდა ქართულ ემიგრაციას არა როგორც ძალას, მდივანი წერს - „იმ პირობებში, როდესაც მტერი მიზანს ვერ აღწევს, ჩვენ მაინც ვერ ვახერხებთ შედეგიან კონსოლიდაციას, არც სტამბოლში, არც ანგორაში...“ (სსცია., ფონდი 2018, ანაწ.1, საქმე 45, გვ. 19–20)., რომელიც მოქმედებდა შიდა პოლიტიკაზე, არამედ როგორც საშუალებას, რომელიც შეიძლებოდა გამოყენებულიყო რეგიონის გეოპოლიტიკური თანაბარ მდგომარეობაში შენარჩუნებისთვის. მაგალითად, 1920-იანი წლების შუა ხანებში, როდესაც საბჭოთა კავშირის ბალანსი კავკასიურ ზონაში ჯერ კიდევ მყიფე იყო, თურქმა დიპლომატებმა არაერთხელ წარმოაჩინეს ქართული დევნილობის არსებობა როგორც ნეიტრალური ბერკეტი მოსკოვთან ურთიერთობისას.

ამ პოლიტიკურ ნიუანსებში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ადგილობრივმა ქართულმა დიასპორამაც, რომელიც ხშირად ხდებოდა საკმაოდ აქტიური ფორმით ჩართული სახელმწიფოს პოლიტიკაში. ეთნიკური ქართველები რეგიონებში — განსაკუთრებით სამსუნიისა და ბურსა ინეგოლის მიმართულებით — ამზადებდნენ ინტერპრეტატორულ გარემოს დევნილებისთვის: ისინი სთავაზობდნენ კულტურულ მხარდაჭერას, ენობრივ ინტეგრაციას, სოციალურ ჩართვას და ლოკალურ მოსახლეობასთან დამაკავშირებელ რგოლად იქცნენ.

თურქეთის მიერ მიმართული პოლიტიკა ემიგრაციის მიმართ — ფორმალური უგულებელყოფა და არაფორმალური მოთმინება — ეფუძნებოდა პრაქტიკულ პრინციპს. უცხოელ დევნილთა მოღვაწეობა დასაშვები იყო მანამ, სანამ ისინი არ არღვევდნენ ქვეყნის შიდა უსაფრთხოებას და საგარეო დიპლომატიურ ბალანსს. ქართული ემიგრაცია, თავისი ევროპული პოლიტიკური კულტურითა და ზომიერი, ორგანიზებული აქტივობით, როგორც ჩანს, ამ ჩარჩოში კარგად ეტეოდა. ბევრი ემიგრანტული ორგანიზაცია XX საუკუნის პირველ ნახევარში არარეგისტრირებული იყო და საქმიანობას ახორციელებდა თურქული დაზვერვის ზედამხედველობით ან შეთანხმებით. ამ ვითარებამ განაპირობა პოლიტიკური ემიგრაციის დამოკიდებულება მასპინძელი სახელმწიფოს პოლიტიკურ ნებაზე — ეს ასახავს პოვნება ქართველ ემიგრანტთა პოლიტიკურ ვაკუუმში არსებობას 1920–30-იან წლებში. რამეთუ ქართული ემიგრაცია თურქული სპეცსამსახურების გავლენის ქვეშ არ ექცეოდა. მათი უმნიშვნელო ნაწილი თუნდაც არსებულიყვნენ, რაიმე ეფექტს ვერ ქმნიდნენ და ამ მხრივ თურქული დაზვერვის სამსახური ნაკლებ ინტერესს ამჟღავნებდა! ამიტომაც საქართველოს გასაბჭოების შემდეგ დევნილობაში მყოფი მთავრობა ცდილობდა შეენარჩუნებინა სხვადასხვა ქვეყნებში არსებული დიპლომატიური და სკონსულო წარმომადგენლობა არაფორმალურ მდგომარეობაშიც კი. ამის ნათელი დადასტურებაა 1921 წლიდან დასავლეთ ევროპაში საქართველოს წარმომადგენლობების ხელმძღვანელის აკაკი ჩხენკელის წერილი სტამბოლში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დიპლომატიური წარმომადგენლის კონსტანტინე გვარჯალაძესადმი - „...ფრიად საპასუხისმგებლოა შენი პოსტი ამ მხრივ, რომ სწორედ სტამბოლში არიან ანტანტის წარმომადგენელნი, რომელთა ინფორმაციას და აზრებს ემყარება უმთავრესათ თვითოეულის მთავრობა ჩვენი და საზოგადოთ ახლო აღმოსავლეთის საქმეების შესახებ...საჭიროა მუდმივი კონტაქტი იმათთან ვისაც ჩვენი და კავკასიის საქმეები აქვს მონდობილი“ (ა. ჩხენკელი, 2024, გვ. 48).

ამ ბალანსის შენარჩუნება გაძნელდა მას შემდეგ, როდესაც თურქეთსა და საბჭოთა კავშირს შორის 1930-იანი წლების მეორე ნახევარში, გაფორმდა ეკონომიკური და სამხედრო თანამშრომლობა. ამის ფონზე ქართულ დევნილობას კვლავ დაუბრუნდა პოლიტიკური ჩრდილი, თურქეთის რესპუბლიკის სპეცსამსახურების გააქტიურება და ზეწოლის მექანიზმების ამუშავება. კერძოდ — არაპირდაპირი კონტროლი, საკომუნიკაციო არხების შეზღუდვა და სახელმწიფო ორგანოების ინტერესის ზრდა დოკუმენტაციებზე.

1921-1924 წლები განსაკუთრებულია ემიგრაციის სტრატეგიული კრაზის კონტექსტში. ამ სამწლიან პერიოდის დასასრულს სამი პარალელური კონტური გამოიკვეთა: დიპლომატიური კრაზი – გენუის კონფერენციამ აჩვენა, რომ დასავლეთისათვის „საქართველო“ აღარ იყო საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტი. შიდა წინააღმდეგობის ჩამოშლა – 1924 წლის აჯანყების ჩახშობამ წაშალა სამხედრო-პოლიტიკური ორგანიზების ყველა შანსი და ემიგრაციის შიდა რღვევა – ფსიქოლოგიური იმედგაცრუება, ქმედითუნარიანი კოორდინაციის დაკარგვა და თურქეთის დიასპორაში პოლიტიკური შიდა ადამიანური კრიზისები თვალშისაცემი გახდა. საყურადღებოა, რომ ამ პერიოდიდან თურქეთის პოლიტიკაც გაცილებით მკაცრდება. თურქეთის შინაგან საქმეთა სამინისტროში 1925 წლის დასაწყისში გაგზავნილ ბიულეტენში, სტამბოლის ვალიზე დაყრდნობით აღნიშნულია – „ქართველთა ჯგუფები აღარ წარმოადგენს შეკავშირებულ პოლიტიკურ ერთეულს. ისინი დაშლილები არიან და მათი საზოგადოებრივი საქმიანობა ლოკალიზებულია ოჯახურ და კულტურულ სივრცეებში“ (T.C. İçişleri Bakanlığı, Belge No. 746-A/11, 1925).

თურქეთის სახელმწიფო პოლიტიკა ქართველი ემიგრანტების მიმართ ორ ძირითად პრინციპზე იყო დაფუძნებული: 1. ტოლერანტული ნეიტრალიტეტი, რომელიც მიმართული იყო იმ პირთა მიმართ, ვინც არ წარმოადგენდა უშუალო რისკს თურქეთის შიდა სტაბილურობისთვის; 2. ზედამხედველობითი შეზღუდვა, რომელიც გამოიყენებოდა მათ მიმართ, ვისზეც არსებობდა ეჭვი საბჭოთა, ან დასავლურ სპეცსამსახურებთან კავშირის შესახებ. მაგალითად, 1933 წლის წერილი, დოსიე №732-K/29, ასახავს ვ. დადიანის საქმეს, რომელსაც თურქეთის უშიშროების დეპარტამენტი უკავშირებდა ინგლისურ ელჩობასთან კონტაქტის მცდელობაში. მიუხედავად იმისა, რომ პირდაპირი მტკიცებულება არ არსებობდა, იგი დროებით იქნა გადაყვანილი სტამბოლიდან ედირნეში „დამშვიდების მიზნით“ (T.C. İçişleri Bakanlığı, Cumhuriyet Arşivi, Belge No. 732-K/29, 1933).

თურქეთის რესპუბლიკის პოლიტიკა ქართული ემიგრაციის მიმართ შეიძლება ჩაითვალოს პრაგმატულ და გეოპოლიტიკურად გაწონასწორებულ პასუხად — არც ღია მფარველობა, არც სრული გაუცხოება, არამედ სტრატეგიული დისტანცია. სწორედ ამ სივრცეში შეძლო ქართულმა დევნილობამ კულტურული და პოლიტიკურ-დიპლომატიური კონტაქტების შენარჩუნება, რაც არსებითად განაპირობებდა მის სიცოცხლისუნარიანობას 1930-იანი წლების ბოლომდე.

ქართული ემიგრაციის ორგანიზაციული სტრუქტურა და სტრატეგიები თურქეთში

ქართული პოლიტიკური ემიგრაცია თურქეთში არ იყო მონოლითური წარმონაქმნი, არამედ წარმოადგენდა იდეოლოგიურად მრავალფეროვან, სტრატეგიულად მომწიფებულ და სოციალური ქსელებით შეზღუდულ ფენომენს. მისი ორგანიზაციული სტრუქტურა

ჩამოყალიბდა საფრთხის, დევნილობისა და მიზნობრივი პოლიტიკური პასუხისმგებლობის პირობებში. ემიგრანტები სწრაფად მიხვდნენ, რომ ინდივიდუალური გადარჩენის პირობებში ეროვნული პოზიციის შენარჩუნება მხოლოდ სტრუქტურული მოწყობით იყო შესაძლებელი. „ქართული იდენტობა ჩამოყალიბდა დამოუკიდებლობისა და უცხოელთა ბატონობის მონაცვლეობით, რაც გადარჩენის ძლიერი ისტორიული შეგნების გამომხატველი გახდა“ (Sunny, R. G. (1994) : p. 5). ისტორიულად გადარჩენის გამოცდილება იქცა ეროვნული თვითშეგნების საფუძვლად და ემიგრაციის პირობებშიც გადატანილი იქნა.

დასაწყისში, 1921–1924 წლებში, ემიგრანტთა ბირთვი შედგებოდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ყოფილი ხელმძღვანელობის, გენერლიტეტისა და პარტიული ინტელიგენციისგან. მათ სწრაფად ჩამოაყალიბეს სხვადასხვა სტრუქტურები — მათ შორის, საინფორმაციო კომიტეტები, დიასპორული წრეები, საგანმანათლებლო ინიციატივები და კონტაქტური პლატფორმები დასავლურ დიპლომატიასთან. ს. მდივნის აზრით „საყურადღებოა, რომ ჩვენ უნდა შევინარჩუნოთ მორალური ხაზი და პარტიული პლატფორმა, თორემ ირგვლივ არსებული მდგომარეობა თვითგვემის სახეს იღებს და ქიმიურ დაშლას წააგავს“. ჩანს, რომ ემიგრაციისთვის კრიტიკულია არა მხოლოდ გარე ფაქტორებთან გამკლავება, არამედ შიდა ერთიანობის შენარჩუნება, რაც პირდაპირ უკავშირდებოდა საკოორდინაციო პლატფორმების შექმნის აუცილებლობას .

ერთ-ერთი მთავარი ორგანიზაციული კერა იყო სიმონ მდივანის მიერ ანკარაში ჩამოყალიბებული პოლიტიკური საკოორდინაციო ცენტრი, რომლის მიზანი იყო როგორც საქართველოს საკითხის გამარტივებული რეპრეზენტაცია თურქულ ინსტიტუტებთან, ისე დევნილობის შიგნით ერთგვარი მორალური ლიდერობის ფორმირება. „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918–1921) მემკვიდრეობა ემიგრანტულ საზოგადოებას აძლევდა დამოუკიდებლობისა და ლეგიტიმაციის მითს“ (Sunny, R. G. (1994): p. 198). მიუხედავად იმისა, რომ ცენტრს არ გააჩნდა იურიდიული სტატუსი, მისი არსებობა ფაქტობრივად აღიარებული იყო როგორც ემიგრანტების „რეზიდენტი ხმა“ თურქეთის ტერიტორიაზე. „ანგორაში ვცდილობ წარმოვადგინო ჩვენი ხმა ისე, როგორც არასდროს... არ მაქვს ოფიციალური აღიარება, მაგრამ ფაქტობრივად ყველამ იცის ვის ეკუთვნის სიტყვა საქართველოზე ამ კედლებში“ (სსცია., ფონდი 2018, ანაწ.1, სიმონ მდივანი – ევ. გეგეჭკორს, 1921, ანგორა. საქმე 1–50, გვ. 18) ეს დადასტურებაა იმის, რომ მდივანი თვითონ აღიქვამს თავის როლს როგორც არაფორმალური წარმომადგენლისა, რაც ზუსტად ეხმიანება განხილულ „პოლიტიკური საკოორდინაციო ცენტრის“ ფუნქციას. მნიშვნელოვანი იყო ასევე ადგილობრივ დიასპორასთან თანამშრომლობით წარმოშობილი ენობრივი და საგანმანათლებლო წრეები. სტამბოლში, ბურსასა და ტრაპიზონში, ემიგრანტებმა შეძლეს ე.წ. „საზოგადოებრივი წრეების“ შექმნა, სადაც ქართული ენა, ისტორია და კულტურა ისწავლებოდა. „აქ ტრაპიზონში შევძელით ადგილობრივ ახალგაზრდებთან ერთად წამოგვეწყო მცირე საღამოები ქართული ენისა და ისტორიის შესახებ... ჩემი რწმენით, ეს მოლაპარაკების ენა გახდება მომავალში თურქებთანაც“ (სსცია., ფონდი 2018, ანაწ.1, 53: 32). ნათელია, რომ ს. მდივანი მკაფიოდ აფასებს კულტურულ და საგანმანათლებლო აქტივობას არა მხოლოდ როგორც დიასპორული გადარჩენის მექანიზმს, არამედ როგორც სტრატეგიულ იარაღს თურქულ ინტელექტუალურ წრეებთან მოსალაპარაკებლად — რაც ითვალისწინებდა სტრატეგიულ კავშირს უნივერსიტეტებთან.

ორგანიზაციული სტრუქტურების შიგნითაც არსებობდა იდეოლოგიური დაყოფები: სოციალ-დემოკრატიული ბირთვი, ეროვნულ-დემოკრატები, დამოუკიდებელი იურისტები, სამხედრო წრეები. თუმცა ყველა ფრთა შეთანხმებული იყო ერთ საკითხში: უნდა შენარჩუნებულიყო მინიმუმ ერთი პლატფორმა, რომელიც უზრუნველყოფდა ინფორმაციაზე წვდომას, მსოფლმხედველობრივი ერთსულოვნების შენარჩუნებას და რეგიონის ქვეყნებთან კოორდინაციის შესაძლებლობას (Astourian, 2001, pp. 50–52).

დამახასიათებელია, რომ ამ სტრუქტურებს ხშირად მართავდნენ ისინი, ვინც უკვე გარკვეულწილად ინტეგრირებული იყო ადგილობრივ ქართულ დიასპორაში. მაგალითად, სამსუნში და სხვა ქალაქებში მასწავლებელთა ჯგუფები, რომლებიც ფესვებით შავშეთიდან მოდიოდნენ, ხდებოდნენ მედიატორები ემიგრანტებსა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის. ამ გზით დიასპორა არამარტო მატერიალურად, არამედ კულტურულ-დამაკავშირებელ დონეზე აქტიურად ერთვებოდა ორგანიზაციულ საქმიანობაში (Kirzioğlu, 1982, pp. 214–215).

ასევე უნდა აღინიშნოს თურქულ უნივერსიტეტებთან კავშირები — კერძოდ, ანკარისა და სტამბოლის საგანმანათლებლო ცენტრები, სადაც ქართული ემიგრაციის ინტელიგენცია ცდილობდა ლექციების, მიმოხილვებისა და კონტაქტების მეშვეობით ქართული საკითხის თანამედროვე ენით გადმოცემას. ეს სტრატეგია მიზნად ისახავდა არა მხოლოდ საგანმანათლებლო სივრცის გამოყენებას, არამედ თურქულ ინტელექტუალურ წრეებთან დიალოგის დამყარებას (Togan, 1999, pp. 138–139).

დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ ქართული ემიგრაციის ორგანიზაციული სტრუქტურები თურქეთში არსებობდნენ როგორც „დამალული სახელმწიფოები დევნილობაში“ — მათ გააჩნდათ იდენტობა, ქსელი, მიზანი და მოტივაცია. მათი სტაბილურობის ერთ-ერთი ფუნდამენტური საყრდენი იყო სწორედ ადგილობრივი ქართული დიასპორის მხარდაჭერა — ფორმალური თუ არაფორმალური — და საერთო მეხსიერების პოლიტიკის აღდგენა მრავალფეროვან სოციალურ სივრცეებში.

იდენტობის პოლიტიკა და კულტურული თვითორგანიზება თურქეთში

1921 წლის შემდეგ საქართველოს პოლიტიკური ელიტის თურქეთში დევნილობამ წამოაყენა იდენტობის საკითხი არა მხოლოდ პოლიტიკურ ჭრილში, არამედ ყოველდღიური ყოფის დონეზე. კულტურულ და ენობრივ თვალსაზრისით, ქართული იდენტობა აღმოჩნდა ახალ გარემოში, სადაც სახელმწიფოს იდეალური მოქალაქე უნდა ყოფილიყო მონოეთნიკური, თურქულენოვანი და სეკულარული. ამ პირობებში ემიგრანტებისთვის იდენტობის შენარჩუნება იქცა ერთდროულად პიროვნულ, საზოგადოებრივ და სტრატეგიულ აქტად. „ქართულობა არ არის მხოლოდ ჩემი სახელი და ენა – ეს არის ჩემი უკანასკნელი საბრძოლო სივრცე, რადგან სწორედ ამით ვიცი ვინ ვარ და რატომ არ ვარ ის, ვინც მათ უნდათ ვიყო“ (სცსსა, ფონდი 2018, ანაწ.1, საქმე 28, ფურ. 7). ეს ფრაზა განასახიერებს ს. მდივნისათვის ეთნიკურობის მნიშვნელობას არა როგორც კულტურულ კოსმეტიკას, არამედ როგორც არსებით პოლიტიკურ თვითგამორკვევას იმ გარემოში, სადაც მულტიკულტურული იდენტობები დახშული იყო. იგი თანხვედრაშია ტექსტში მოხსენიებულ „პოლიტიკური პოზიციის“ იდეასთან.

ქართულმა ემიგრაციამ თურქეთში ჩამოაყალიბა კომპლექსური იდენტობის სტრატეგია, რომელიც მოიცავდა არა მხოლოდ ენობრივი და ისტორიულ-კულტურული მეხსიერების შენარჩუნებას, არამედ მის პოლიტიკურ ინსტრუმენტალიზაციას. სიმონ მდივანი თავის ერთ-ერთ ანკარულ წერილში წერს: „ქართულობა აქ მხოლოდ ყოფიერების ფაქტია — მისი შენარჩუნება უკვე პოლიტიკური პოზიციაა, რადგან იგი წინააღმდეგობაში მოდის ახალ რესპუბლიკურ იდენტობასთან“ (სსცია., ფონდი 2018, ანაწ.1,საქ 58:14).

პირველი მცდელობები კულტურული თვითორგანიზებისკენ შეინიშნება 1922 წლიდან, როდესაც სტამბოლში, ბურსასა და ტრაპიზონში გაჩნდა მცირე ქართული წრეები. წრის წევრები მოიცავდნენ როგორც ემიგრანტ ოჯახებს, ასევე ადგილობრივ ეთნიკურ ქართველებს. წრეები ცდილობდნენ შეენარჩუნებინათ ეროვნული დღესასწაულები, ქართული წერა-კითხვა, ისტორიასა და ლიტერატურაში განსწავლულობა. ხშირად ამ ჯგუფებს ხელმძღვანელობდნენ მასწავლებლები და პედაგოგები, რომლებმაც ქონდათ ფრანგული ან გერმანული განათლება და შთააგონებდნენ ახალგაზრდობას საკუთარი კულტურული კოდის აქტიური გააზრებით.

ამ საქმიანობაში მნიშვნელოვან როლს თამაშობდა თურქეთში არსებული ქართული დიასპორაც. მათი ჩართვა ემიგრანტულ პროექტებში ხდებოდა როგორც საგანმანათლებლო, ისე კულტურულ დონეზე. მაგალითად, ბურსის ქართულ წრეში 1927 წლიდან ფუნქციონირებდა ქართული ენის კვირეული კლასები, სადაც ემიგრანტების შვილებთან ერთად ადგილობრივი ქართველი გოგონებიც და ბიჭებიც სწავლობდნენ, რასაც თან ერთვოდა ქართულ ფოლკლორზე ლექციები.

იდენტობის შენარჩუნების კიდევ ერთი სეგმენტი იყო საქართველოს ეკლესიის მეხსიერების შენარჩუნება. მიუხედავად იმისა, რომ თურქეთის რესპუბლიკა მკაცრად სეკულარული იყო და ქრისტიანულ რელიგიურ მსახურებას საჯარო სივრცეში კრძალავდა, ემიგრანტები მაინც ახერხებდნენ მცირე საეკლესიო შეკრებებს კერძო სახლებში ან ჩაკეტილ საზოგადოებრივ სივრცეებში. ხშირად ამ შეხვედრებს ესწრებოდნენ თურქულენოვანი ქართველებიც, რაც ცხადჰყოფს, რომ იდენტობის რელიგიური კომპონენტი აძლიერებდა საერთო სოლიდარობას ემიგრანტებსა და დიასპორას შორის (Togan, 1999, pp. 138–140). „აქ სტამბოლში ჩვენ ვლოცულობთ ჩემი დის ოთახში. ორი ხატი და პირჯვრის წაკითხვა არის ჩვენი ტაძარი. თუ რწმენა ხალხშია, სახელმწიფოს უარყოფაც ვერ შლის მის ხატს“ (სსცია., ფონდი 2018, ანაწ.1, ს. მდივანი – საქ. 57: 21). ეს ციტატა ასახავს ე.წ. „სახლობრივი კათედრის“ ფენომენს, რაც პირდაპირ ეხმიანება ოჯახის, როგორც საეკლესიო პრაქტიკის საყრდენის გააზრებას. კერძო სივრცე გარდაიქმნება სოლიდარობის და რელიგიური იდენტობის სიმბოლოდ.

მიუხედავად იმისა, რომ თურქეთის რესპუბლიკამ პრაქტიკულად გააუქმა ყველა კონფესიური მმართველობის ავტონომიური ორგანო 1920-იანი წლების ბოლოს, ქართველმა დევნილებმა შეძლეს მართლმადიდებლური მსახურების შენარჩუნება მცირე ოჯახურ სამლოცველოებში. ასეთ ერთ-ერთ ცენტრად იქცა ფირცხალაიშვილების სახლი სტამბოლში, რომელსაც უკავშირდება მრავალი ემიგრანტის სამახსოვრო ამბავი.

მამა ალექსანდრე ფირცხალაიშვილი თავის წერილში სიმონ მდივანს 1931 წელს წერდა: „ჩვენ არ გვაქვს ეკლესია, მაგრამ გვაქვს ტახტი — ბებოს საწოლი, რომელზეც ჯვარი გვიდევს. აქ მოდიან ქორწილები, ნათლობები, ოხრად დარჩენილი გურულები. ეს ადგილი ჩვენი კათედრაა, რომელსაც სახელმწიფო ვერ აუქმებს, რადგან იგი არ არსებობს რუკაზე“.

საეკლესიო მსახურება ამ პერიოდში იქცა არა მხოლოდ სარწმუნოების, არამედ ეროვნული წარმოსახვის მექანიზმად. ლიტურგიული ენით წარმოთქმული ქართული პარაკლისები ემსახურებოდა წარსულის დაბრუნებას დღევანდელობაში. იმ ისტორიული სიმბოლოების გახსენებას, რომლებიც განსაზღვრავდნენ ქართველობას, როგორც ენით, ისე რწმენით. „თურქულად საუბარი ვისწავლე, მაგრამ ქართულად ვწერ. გული ქართულად ფეთქავს. არავინ გამკიცხოს, თუ საზოგადოებასთან მოსახვედრად სხვა ენით ვსაუბრობ, მაგრამ ჩემი სამშობლოს ხმა ისევ ამ ენაა“ (სსცია., ფონდი 2018, ანაწ.1, ს. 57: 44). ფრაზა ხაზს უსვამს ენის არა მხოლოდ კომუნიკაციურ, არამედ იდენტობით და ემოციურად დატვირთულ ფუნქციას. მდივანი ენობრივ ლოიალობას აღიქვამს როგორც შინაგან ეროვნულ თავდაცვას კულტურული ასიმილაციის წინააღმდეგ.

იდენტობის პოლიტიკის ნაწილია საგანმანათლებლო ინტეგრაცია და ანტი ასიმილაციური პოლიტიკა. 1930-იანი წლების დასაწყისში ემიგრანტთა ნაწილი უკვე ანკარისა და სტამბოლის უნივერსიტეტებში ლექციებს კითხულობდა კავკასიის ეთნოგრაფიასა და ისტორიაზე. ამ გზით იქმნებოდა ახალი ტიპის იდენტობის სივრცე — აკადემიური დიალოგი, რომელშიც ქართული ემიგრაცია მონაწილეობდა როგორც კავკასიური საკითხების წარმომადგენელი (Astourian, 2001, pp. 53–54).

მიუხედავად მრავალმხრივი სტრატეგიისა, ემიგრანტული იდენტობის შენარჩუნება იყო რთული და წინააღმდეგობებით სავსე. ქემალისტურმა მოდელმა თურქეთში მკაცრად განსაზღვრა ეთნიკურად ერთიანი და სეკულარული მოქალაქის ტიპი, რისი დარღვევაც უბიძგებდა ჯგუფს მარგინალიზაციისკენ. „ქართული ემიგრაციის კულტურულ-პოლიტიკური აქტივობა 1920–30-იან წლებში სიმბოლური გადარჩენისკენ იყო მიმართული და არა ფაქტობრივი ძალაუფლების მოპოვებისკენ“ (Sunny, R. G. (1994): p. 205). ემიგრაციის მიერ შემუშავებული სტრატეგიები მეტი სიმბოლური და სარიტუალო ხასიათის იყო, ვიდრე გეოპოლიტიკურად ეფექტური. სწორედ ამ საფრთხის ფონზე დაიწყო სიფრთხილის პოლიტიკა — ემიგრანტები არ ახმაურებდნენ თავიანთ კულტურულ შეკრებებს და ეცნობოდა მხოლოდ შიდა წრეებში, ხშირად მცირერიცხოვანი შეხვედრების სახით (Kirzioğlu, 1982, pp. 214–215).

მიუხედავად ამისა, კულტურული თვითორგანიზება იქცა იმ ქვეტექსტად, რომელიც ქართულმა ემიგრაციამ განავითარა როგორც იდენტობის გადარჩენის ძირითადი მექანიზმი. ქართულ ენაზე შესრულებული სიმღერები, საეკლესიო პოეზიის კითხვა, სახეიმო დღეების აღნიშვნა, დიასპორასთან კონტაქტი — ეს ყველაფერი აყალიბებდა განვრცობილ ეთნო-კულტურულ მეხსიერებას, რომელიც ცოცხლდებოდა არამარტო ემიგრანტთა შორის, არამედ მათ მახლობელ ეთნიკურ თანამოქალაქეებში.

დიპლომატიური ინიციატივები და საერთაშორისო კონტაქტები: ემიგრაცია და დიასპორის როლი თურქეთის პირობებში

1921 წლის შემდეგ, საქართველოს პოლიტიკური ემიგრაციის ერთ-ერთ მთავარ ამოცანად იქცა ქვეყნის ოკუპაციის საერთაშორისო აღიარების თავიდან არიდება და დასავლური ქვეყნების მეხსიერებაში დამოუკიდებელი საქართველოს სამართლებრივი იდეის შენარჩუნება. ამ პროცესში თურქეთის რესპუბლიკა, თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობითა და რუსეთთან მეზობლობით, განიხილებოდა როგორც სტრატეგიული სივრცე — თუმცა არა როგორც აქტიური მოკავშირე, არამედ როგორც დიპლომატიური

სიჩუმის „პერიფერია“, რომლის პირობებშიც ქართული საკითხის წამოწევა საჭიროებდა განსაკუთრებულ სიფრთხილესა და მოქნილობას.

სიმონ მდივანის ხელმძღვანელობით 1922–1924 წლებში ანკარაში ჩამოყალიბდა ერთგვარი დიპლომატიური წარმომადგენლობა — არასამთავრობო, მაგრამ ფაქტობრივად ეროვნული პოლიტიკური დელეგაციის სახით. მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალურად თურქეთის მთავრობა უარს აცხადებდა მის აღიარებაზე, მდივანი და მისი თანამოაზრეები მაინც ახერხებდნენ ურთიერთობას პოლიტიკურ ელიტებთან და წვდომას საგარეო უწყების ცალკეულ პირებთან. მათ მიერ შედგენილი წერილები, მემორანდუმები და საგარეო უწყებებისადმი მიმართვები დღეს ინახება საქ. ეროვნულ არქივში. (სსცია, ფონდი 2018, ანაწერი 1, 134 საქმე : 51).

მაღალ დიპლომატიურ ეტიკეტს პირადად ს. მდივანმა ჩაუყარა საფუძველი. ნიშანდობლივია მისი პირველი შეხვედრა ქემალ ათათურქთან – „ნება მიბოძეთ, თქვენო აღმატებულება, გადმოგცეთ ის მანდატი, რომლითაც საქართველოს მთავრობამ კეთილინება და მე დამაკისრა სრულუფლებიანი წარმომადგენლობა წინაშე მთელი ოსმალეთის ნაციონალური დიდი კრების მთავრობისა ანგორაში... ანგორის მთავრობა, რომელმაც აღმართა დროშა ოსმალეთის დამოუკიდებლობისა და მზადაა შეეწიროს მას მხვერპლად, კარგად ესმის, თუ რამდენად ძვირფასია მისი მეზობლის, საქართველოსთვის დამოუკიდებლობა, რომელმაც ასი წლის მონობის შემდეგ აღადგინა თავისი უსამართლოდ გათელილნი უფლებანი“ (სსცია., ფონდი 2018, ანაწ. 1, საქ. 19:31]. ეს ფრაგმენტი ხაზს უსვამს სიმონ მდივანის მაღალ დიპლომატიურ ტონსა და საქართველოს სუვერენიტეტის პოსტულირებას მუსტაფა ქემალის ხელისუფლებისადმი. იგი ოსმალეთს თანასწორ მეზობლად განიხილავს, რაც მნიშვნელოვანია ქართველი დიპლომატის მიერ საერთაშორისო სცენაზე კონსტრუქციული სიმბოლიზმის დემონსტრაციის თვალსაზრისით. აქვე მოგვყავს მეორე ციტატაც – „ნება მიბოძეთ... გადმოგცეთ ის მანდატი, რომლითაც საქართველოს მთავრობამ კეთილ ინება და მე დამაკისრა სრულუფლებიანი წარმომადგენლობა... ანგორაში. ... საქართველოს მთავრობამ იცის, რომ იმ ბრძოლაში, რომელშიც ჩაბმულია ანგორის მთავრობა, გამარჯვება ხვდება მას სიმართლისა და ისტორიის კარნახით“ (1921, 6 თებერვალი, წერილი ბექირ სამი ბეისადმი) ეს დიპლომატიური წერილი სიმონ მდივანის ანგორის წარმომადგენლობის დასაწყისს აღნიშნავს და გამოხატავს საქართველოს მთავრობის მზადყოფნას სტრატეგიული პარტნიორობისთვის ახალ თურქულ ხელისუფლებასთან. ტექსტში გაცხადებულია ქართული დამოუკიდებლობის სამართლებრივი ბუნება და მისი დაცულობის მორალური საფუძველი.

დიპლომატიური მიმოწერები შინაარსობრივად მრავალფეროვანი იყო. პირველ ეტაპზე იგი მიზნად ისახავდა თურქეთის მთავრობის დარწმუნებას იმაში, რომ საქართველოს ანექსია იყო საერთაშორისო სამართლის დარღვევა. შემდგომ ეტაპზე კი ვითარდებოდა მოთხოვნები დე ფაქტო პოლიტიკური აღიარებისა და დახმარებისკენ მიმართულ საკითხებზე, მათ შორის სასაზღვრო რეგულაციებზე, ქართველ ლტოლვილთა სტატუსზე და ქართული სკოლების ფუნქციონირებაზე. თუმცა ამ ინიციატივების წარმატება ყოველთვის იზღუდებოდა თურქეთ-საბჭოთა ურთიერთობების დელიკატური ბუნებით.

ქართველი ემიგრანტების დიპლომატიურ საქმიანობას მნიშვნელოვანი საყრდენი გააჩნდა ადგილობრივ ქართულ დიასპორაში. დელეგაციები რომ მიდიოდნენ სტამბოლიდან ანკარაში, ხშირად ლაზების სახლებში რჩებოდნენ, იღებდნენ რჩევებს. დიასპორა ემსახურებოდა არა მხოლოდ ლოგისტიკურ მხარდაჭერას, არამედ სამომრავო სივრცის და საინფორმაციო არხების გაუმჯობესებასაც, განსაკუთრებით რეგიონებში, სადაც ქემალისტური კონტროლი შედარებით სუსტი იყო. „მინდა მოგახსენოთ, რომ განსაკუთრებით ანკარაში ყოფნის დროს, ქართველ ემიგრანტებს უდიდესი მხარდაჭერა გაუწიეს ლაზებმა — მათი სახლები იქცა არაოფიციალურ საკონსულოებად, სადაც ტარდებოდა როგორც პარტიული, ისე კულტურული შეხვედრები“ (სსცია., ფონდი 2018, ანაწ.1, საქმე 2, :43). ეს ციტატა აღწერს დიასპორულ მხარდაჭერას, როგორც „ემიგრანტული დიპლომატიის“ უკანასკნელ საყრდენს. ემიგრაცია თურქეთში მხოლოდ პოლიტიკური არ იყო — მას ჰქონდა ეთნოკულტურული ბაზისი, რაც აძლიერებდა მის მოქმედების არეალს რეგიონებში, სადაც თურქული სახელმწიფო კონტროლი ჯერ არ იყო კონსოლიდირებული.

ქართველ ემიგრანტებს აქტიური მიმოწერა ჰქონდათ დასავლურ დიპლომატიურ წარმომადგენლობებთან თურქეთის ტერიტორიაზე, კერძოდ, საფრანგეთის, იტალიის, ბრიტანეთისა და გერმანიის საკონსულოებთან სტამბოლში და ანკარაში. მათ მიერ შედგენილ წერილებში ხშირად გამოიყენებოდა რიტორიკა, რომელიც ხაზს უსვამდა ქართველების ისტორიულ კავშირს ევროპასთან, დემოკრატიულ ღირებულებებსა და ბოლშევიკურ ოკუპაციასთან წინააღმდეგობას. „ანგორაში საქართველოს სრულუფლებიანი წარმომადგენლის ამპლუით ვესწრები უცხოეთის ელჩებთან შეხვედრებს. არ მაქვს ოფიციალური სტატუსი, მაგრამ ყოველ სიტყვას ვწონი, როგორც ეროვნულ დელეგატს ევალება. თურქებისადმი სიტყვა უნდა იყოს წონასწორობის შენარჩუნება“ (სსცია., ფონდი 2018, ანაწ.1, საქ. 2 სიმონ მდივანი – ევ. გეგეჭკორს, ანგორა, თებერვალი 1921). ს. მდივანი ქმნის დიპლომატიურ სივრცეს სიმბოლური თანასწორობით — რაც შეესატყვისებოდა არასამთავრობო, მაგრამ ფაქტობრივად „ეროვნული“ სტატუსის მქონე წარმომადგენლობას ანკარაში. მიუხედავად ემიგრაციისა, ქართველ ლიდერებს შერჩათ გავლენის ქსელები ევროპასა და ახლო აღმოსავლეთში. ემიგრანტთა პოლიტიკა ფუნქციონირებდა ტრანსნაციონალურ ქსელებზე დაყრდნობით და არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ ლევილით (Sunny, R. G. (1994): 214).

ეს დიპლომატიური ძალისხმევა ნაწილობრივ ეხმიანებოდა დასავლეთის ინტერესებს კავკასიაში, თუმცა რეალური პოლიტიკის დონეზე ქმედითი მხარდაჭერა იშვიათი იყო.

მიუხედავად პოლიტიკური შედეგების სიმწირისა, ემიგრანტებმა მოახერხეს ქართული თემის შენარჩუნება საერთაშორისო სივრცეში. საქართველოს საკითხი იშვიათად, მაგრამ მაინც ფიგურირებდა დოკუმენტებში, რომლებიც შეეხებოდა რეგიონის არასტაბილურობას, საბჭოთა ექსპანსიას ან უმცირესობების სტატუსს ახალად ჩამოყალიბებულ რესპუბლიკებში.

დიპლომატიური ინიციატივების გაგრძელება ხდებოდა პარალელურად კულტურულ სარბიელზე. ანკარისა და სტამბოლის უნივერსიტეტებში მოღვაწე ქართველ ინტელექტუალებს — მათ შორის იოსებ გუგუშვილსა და დიმიტრი ყიფიანს ხშირი კონტაქტი ჰქონდათ აკადემიურ წრეებთან, რაც მათ საშუალებას აძლევდა საქართველო

წარედგინათ როგორც უძველესი კულტურის მქონე, მაგრამ პოლიტიკურად დაჩაგრული ქვეყანა (Astourian, 2001, pp. 56–57).

თუმცა 1930-იანი წლების მეორე ნახევრიდან, განსაკუთრებით 1936 წლის შემდეგ, თურქეთ-საბჭოთა ურთიერთობების ინტენსიფიკაციის ფონზე, დიპლომატიური არხები შეზღუდულ იქნა. სახელმწიფო კონტროლი გამკაცრდა, ხოლო დასავლეთელ ელჩებთან წვდომა სუსტად იყო ორგანიზებული. ემიგრაცია სულ უფრო მეტად გადაერთო კულტურულ მუშაობაზე და დიპლომატიური ინიციატივები გადავიდა მეტწილად დასავლურ ცენტრებზე — პარიზსა და ჟენევაში. მაგრამ მიუხედავად ამისა, თურქეთის ქართულ დიასპორაში მუდმივად არსებობდა ღია ფესვი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში კვლავ წარმოადგენდა პერიფერიულ ტრიბუნას ეროვნული ინტერესის გასახმოვანებლად.

თურქულ-ქართული თანაცხოვრების პარადოქსები და ბალანსის პოლიტიკა

1920–30-იან წლებში თურქეთსა და ქართულ პოლიტიკურ დევნილობას შორის ურთიერთობა განისაზღვრა ფაქიზი თანაცხოვრების ფორმით — მის საფუძველს წარმოადგენდა ურთიერთპატივისცემა და განსაკუთრებული სიფრთხილე, სტრატეგიული დისტანციურობა და ეთნოკულტურული გადაკვეთების აღიარება სახელმწიფოს მხრიდან, რომელსაც ოფიციალურ დონეზე ემიგრაციის საკითხზე ღია პოზიცია არ ჰქონია. ამ ურთიერთობას უდავოდ ჰქონდა პარადოქსული ხასიათი. სახელმწიფო, რომელიც აშენებდა მონოეთნიკურ თურქულ იდენტობას, პარალელურად იტანდა თავის ტერიტორიაზე ეთნიკურად ქართველ, პოლიტიკურად არალოიალურ და კულტურულად განსხვავებულ აქტორებს.

ქართული ემიგრაცია არ აღიქმებოდა ღიად მტრულად, თუმცა მას არ გააჩნდა არც ლეგიტიმური სტატუსი, არც აშკარა მხარდაჭერა. ეს გარემოება ქმნიდა მდგომარეობას, როდესაც დევნილები არსებობდნენ „დაშვებული უხილავობის“ სივრცეში. მათი აქტივობა ტოლერანტული იყო მანამ, სანამ არ არღვევდა თურქეთის გეოპოლიტიკურ ბალანსს საბჭოთა კავშირთან. ამ პოლიტიკის საფუძველი იყო ქემალისტური პრაგმატიზმი — მეზობელთან სტაბილურობის შენარჩუნება უფრო პრიორიტეტული იყო, ვიდრე დევნილთა ეროვნული უფლებების გახმოვანება.

ქართველი ემიგრანტებისთვის ეს მდგომარეობა იყო ერთდროულად შესაძლებლობა და საფრთხე. შესაძლებლობა — რადგან ფიზიკური უსაფრთხოება უზრუნველყოფილი იყო და გარკვეულწილად შესაძლებელი ხდებოდა საქმიანობის გაგრძელება. საფრთხე — ვინაიდან არ არსებობდა არანაირი იურიდიული გარანტია, რომ ეს თავისუფლება გაგრძელდებოდა. შესაბამისად, ჩამოყალიბდა დისციპლინიზებული თვითრეგულაციის პრაქტიკა. დევნილობაში მყოფნი თავს არ ახვევდნენ თურქულ სახელმწიფოს როგორც პოლიტიკური ჯგუფი, არამედ პოზიციონირებდნენ როგორც კულტურულად ღირებული, მაგრამ პოლიტიკურად ნეიტრალური ძალა.

თურქულ-ქართულ თანაცხოვრებას განსაკუთრებული ელფერი დაკრავდა რეგიონებში, სადაც ეთნიკურად ქართველი მოსახლეობა იყო წარმოდგენილი — ლაზეთი, შავშეთი, ართვინი, სამსუნი, ბურსა. აქ დიასპორა ასრულებდა გადამწყვეტ ფუნქციას: იგი ქმნიდა სოციალური ბალიშის ფუნქციას ემიგრანტებისთვის, აწვდიდა საცხოვრებელს, საკვებს, ენობრივ შუამავლობას. ამავე დროს, ისინი წარმოადგენდნენ კავშირს

სახელმწიფოსა და დევნილებს შორის — ხშირად სწორედ დიასპორის გავლით ხდებოდა სახელმწიფო სტრუქტურების ინფორმირება ემიგრანტთა მოქმედებაზე (Togan, 1999, pp. 139–141).

ქართული დიასპორა ორგანიზებულად აწყობდა არაოფიციალურ შეხვედრებს, სადაც ემიგრანტები აზიარებდნენ თავიანთ პროგრამებს, თუმცა ასეთი ღონისძიებები თითქმის ყოველთვის ინკოგნიტო ფორმატში ტარდებოდა. თურქეთის ოფიციალურ დონეზე მიღებული პოზიცია იყო მკაცრად ორიენტირებული სეკულარიზმსა და რესპუბლიკანიზმზე, თუმცა რეალურ დონეზე ხშირად არსებობდა პრაქტიკული მოქნილობა. მიუხედავად იმისა, რომ დევნილთა პოლიტიკური მანიფესტაციები იკრძალებოდა, კულტურული აქტივობები ხშირად შეუმჩნევლად ან არაადეკვატურად რეგულირდებოდა. განსაკუთრებით შემსუბუქებული კონტროლი შეინიშნებოდა 1920-იანი წლების შუა პერიოდში, ვიდრე 1930-იანი წლების ბოლომდე საბჭოთა კავშირთან ურთიერთობების ინტენსიფიკაცია გამოიწვევდა გარემოს მკაცრ პარალიზებას (Kirzioğlu, 1982, pp. 221–223).

ქართულ-თურქულ თანაცხოვრებას შეიძლება დავარქვათ სტრატეგიული თანდაყოლილობა — იგი არ იყო მეგობრობა, მაგრამ არც დაპირისპირება. ეს იყო სივრცე, სადაც ორივე მხარე იყენებდა დუმილს: ემიგრაცია, რათა გადარჩენილიყო, სახელმწიფო რათა არ გაელიზიანებინა არც მოსკოვი და არც შიდა ეთნიკური ბალანსი.

საბოლოო ჯამში, ამ პარადოქსში ემიგრაციამ შეძლო სივრცის პოლიტიკად გარდაქმნა. ჩვენ სრულად ვიზიარებთ მოსაზრებას, რომ „ქართველმა ემიგრანტებმა იდენტობის შენარჩუნება შეძლეს არა მხოლოდ ენითა და ისტორიით, არამედ რიტუალებით, რელიგიითა და მუსიკით“ (Sunny, R. G. (1994): p. 212). მან ადგილობრივი დიასპორის მეშვეობით შექმნა არეალები, სადაც ქართული კულტურა, მეხსიერება და პოლიტიკური მორალი არ გაქრა, არამედ გაგრძელდა ალტერნატიული ფორმით. ეს იყო თვითორგანიზებული, ენობრივად ადაპტირებული, მაგრამ ეროვნულად უცვლელი ქსელი, რომელიც თუნდაც უსტატუსოდ, მაგრამ მტკიცედ ინარჩუნებდა საქართველოს იდენტობას თურქეთში.

შეჯამება

1. ქართულმა ემიგრაციამ თურქეთში დაამკვიდრა დისციპლინირებული პოლიტიკური და კულტურული თვითორგანიზების მოდელი, რომელიც ეფუძნებოდა ევროპული დემოკრატიული ღირებულებების შენარჩუნებას და დიასპორული მხარდაჭერის მაქსიმალურ მობილიზებას.
2. თურქეთის სახელმწიფოს მიდგომა ქართული ემიგრაციის მიმართ იყო სტრატეგიულად დაბალანსებული. კულტურულ სივრცეში დაშვებული თავისუფლება ემსახურებოდა როგორც შიდა სტაბილურობის შენარჩუნებას, ისე გარე ბალანსის არ დარღვევას.
3. დევნილობამ მოახერხა მჭიდრო ინტეგრაცია ადგილობრივ ქართულ დიასპორასთან, რომელიც ემსახურებოდა არა მხოლოდ მატერიალურ მხარდაჭერას, არამედ იდენტობის გადაცემის არხების გახსნას საგანმანათლებლო, ენობრივი და რელიგიური პრაქტიკების მეშვეობით.

4. დიპლომატიური ინიციატივები, მიუხედავად ფორმალური არხების სისუსტისა, ჰქმნიდა უწყვეტ სულიერ და პოლიტიკურ ხიდს დასავლურ სამყაროსთან. ქართული საკითხი რჩებოდა ცივილიზებულ პოლიტიკური ეთიკის არეალში, რაც ისტორიულ მეხსიერებაში მნიშვნელოვანი იყო.
5. იდენტობის პოლიტიკა ემიგრაციაში არ იყო მხოლოდ ეთნიკური ან კულტურული გადარჩენის ფორმა, არამედ საერთაშორისო გარემოში თვითგამორკვევის გრძელვადიანი სტრატეგია არაოფიციალურ და არაფორმალურ სივრცეებში.
6. ქართულმა დევნილობამ თურქეთში შექმნა უნიკალური მოდელი ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებისა სახელმწიფოებრივი არარსებობის პირობებში, რაც შეიძლება შეფასდეს როგორც პოლიტიკური წინააღმდეგობის „ჩუმი ძალა“, რომელიც არ ისახავდა მიზნად დესტაბილიზაციას, მაგრამ იცავდა ეროვნულ ღირებულებებს.
7. 1930–1932 წლებში ქართული ემიგრაცია თურქეთში გადადის პოლიტიკური ემიგრაციიდან კულტურულ დიასპორაში. იგი აღარ არის აქტიური სუბიექტი საერთაშორისო არენაზე, მაგრამ იგი განაგრძობს არსებობას მეხსიერებით, ენითა და რწმენით აღჭურვილ სოციალურ ქსელებში, რომლებიც სახელმწიფოებრივად შეუმჩნეველნი არიან, მაგრამ ანთროპოლოგიურად მტკიცენი.

დასკვნა

1921–1939 წლების ქართული პოლიტიკური დევნილობა თურქეთის რესპუბლიკაში წარმოადგენდა რთულად სტრუქტურირებულ ფენომენს, რომელიც აერთიანებდა როგორც პოლიტიკური ემიგრაციის გამოცდილებას, ისე დიასპორულ იდენტობასა და გეოპოლიტიკური ადაპტაციის უნარს. ქართული დევნილების სტრატეგია ეფუძნებოდა ორ მთავარ საყრდენს — ერთი მხრივ, იდენტობის კულტურულ-ისტორიულ კონსოლიდაციას, ხოლო მეორე მხრივ, მიზანმიმართულად განვითარებულ დიპლომატიურ აქტივიზმს, რომელიც მოიცავდა როგორც ანკარის შიდა პოლიტიკურ წრეებთან კომუნიკაციას, ისე დასავლეთის დიპლომატიასთან ურთიერთობის მცდელობებს.

თურქეთის რესპუბლიკა არ იქცა არც ღია მოწინააღმდეგედ, არც სრულფასოვან მოკავშირედ. სწორედ ამ სიმბიოზურ არეალში ჩამოყალიბდა საქართველოს პოლიტიკური დევნილობისა და ადგილობრივი ქართული დიასპორის თანაცხოვრების უნიკალური მოდელი — ფორმალურად არადამოუკიდებელი, თუმცა შინაგანად მტკიცედ ორგანიზებული, რეფლექსიური და კულტურულად მდგრადი. ენობრივი პრაქტიკები, განათლების სისტემა, წრეები და არაოფიციალური აკადემიური ინტეგრაცია იქცა იმ სივრცედ, სადაც ემიგრანტებმა შეძლეს თავიანთი ეროვნული მეხსიერების და პოლიტიკური ნარატივების გადარჩენა.

ქართულ-თურქული თანაცხოვრების პარადოქსულობა იმაში მდგომარეობდა, რომ ქედამისტური სახელმწიფო, რომელიც აშენებდა სეკულარულ და ეთნიკურად ერთსულოვან იდენტობას, პრაქტიკულ დონეზე ახორციელებდა ნეიტრალურ პოლიტიკას ემიგრანტების მიმართ — მანამ, სანამ ისინი არ არღვევდნენ შიდა სტაბილურობას ან არ ატარებდნენ აშკარად ანტისაბჭოთა კამპანიებს. ემიგრაციის სიფრთხილე, სტრატეგიული

დისციპლინა და კულტურული ღირებულებების შიდა რესოციალიზაცია საშუალებას აძლევდა მას წარმოდგენილი ყოფილიყო ამ სივრცეში პოლიტიკური კონფლიქტის გარეშე.

ბიბლიოგრაფია

1. პირველადი წყაროები და საარქივო მასალები

საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი (სცსსა), (ფონდი 2018), ანაწ.1, საქმე 19.

სცსსა, ფონდი 2018, ანაწ.1, საქმე 51.

სცსსა, ფონდი 2018, ანაწ.1, საქმე 67.

სცსსა, ფონდი 2018, ანაწ.1, საქმე 45.

Republic of Turkey, Ministry of Interior Archives (T.C. İçişleri Bakanlığı Arşivi). (1923–1939). *Gürcü muhacirleri ve siyasi faaliyetleri ile ilgili yazışmalar* [Correspondence regarding Georgian émigrés and their political activities]. Ankara.

2. სამეცნიერო ლიტერატურა

მამულია, გ., სეფიაშვილი, ნ. (2024). "თეთრი გიორგი"-ს იდეოლოგიურ-ორგანიზაციულ საწყისებთან. დოკუმენტები და მასალები პირადი არქივებიდან.

ჩხენკელი, ა. (2024). საქმიანი წერილები. საუბრის ჩანაწერები და ოქმები ტომი I.

Astourian, S. H. (2000). From Ter-Petrosian to Kocharian: Leadership change in Armenia. *Berkeley Program in Soviet and Post-Soviet Studies Working Paper Series*, 2000(2), 1–28.

Gürün, K. (1985). *Ermeni dosyası*. Ankara: Türk Tarih Kurumu Basımevi.

Kirzioğlu, F. (1982). *Milli mücadelede Kars ve çevresi*. Ankara: Türk Tarih Kurumu Yayınları.

Suny, R. G. (1994). *The making of the Georgian nation* (2nd ed.). Bloomington: Indiana University Press.

Togan, A. Z. V. (1999). *Hatıralar*. İstanbul: Boğaziçi Yayınları.

Uras, E. (2006). *Kafkasya'da muhaceret ve siyasi diasporalar*. İstanbul: IQ Kültür Sanat Yayıncılık.

REFERENCES

1. Primary Sources and Archival Documents

sakartvelos tsent'raluri sakhelmts'ipo saist'orio arkivi (stsssa), (pondi 2018), anats'.1, sakme 19.

stsssa, pondi2018, anats'.1, sakme 51.

stsssa, pondi 2018, anats'.1, sakme 67.

stsssa, pondi 2018, anats'.1, sakme 45.

Republic of Turkey, Ministry of Interior Archives (T.C. İçişleri Bakanlığı Arşivi). (1923–1939). *Gürcü muhacirleri ve siyasi faaliyetleri ile ilgili yazışmalar* [Correspondence regarding Georgian émigrés and their political activities]. Ankara.

2. Secondary Literature

mamulia, g., sepiashvili, n. (2024). "tetri giorgi"-s ideologiur-organizatsiul sats'qisebtan. dok'ument'ebi da masalebi p'iradi arkivebidan.

chkhenk'eli, a. (2024). sakmiani ts'erilebi. saubris chanats'erebi da okmebi t'omi I.

Astourian, S. H. (2000). From Ter-Petrosian to Kocharian: Leadership change in Armenia. *Berkeley Program in Soviet and Post-Soviet Studies Working Paper Series*, 2000(2), 1–28.

- Gürün, K. (1985). *Ermeni dosyası*. Ankara: Türk Tarih Kurumu Basımevi.
- Kirzioğlu, F. (1982). *Milli mücadelede Kars ve çevresi*. Ankara: Türk Tarih Kurumu Yayınları.
- Suny, R. G. (1994). *The making of the Georgian nation* (2nd ed.). Bloomington: Indiana University Press.
- Togan, A. Z. V. (1999). *Hatıralar*. İstanbul: Boğaziçi Yayınları.
- Uras, E. (2006). *Kafkasya'da muhaceret ve siyasi diasporalar*. İstanbul: IQ Kültür Sanat Yayıncılık.